გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სა3ოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი


**ამ წლის ივერიის № 35 დაბეჭდილი იყო „ახალ ამბებში" იმერეთიდამ მოსულის წერილისამებრ, რომ იქაურ რკინის გზის რომელსაც სადგურზედ სადგურის უფროსს ჩხუბი მოსვლია ვიღაც რკინის გზაზედვე მოსამსახურესთან და მთელი საათი ჩხუბს მოუნდომნია მაშინ, როდესაც ხალხი ბილეთების სასყიდლად კასსას გარს ქსევია და ამ ჩხუბის გამო ბევრი უბილეთოთ დარჩომილა, რადგანაც უფროსს ჩხუბისაგან ბილეთების გასასყიდლად ვერ მოუცლია. უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილის პატივცემულს ავტორს გვაცნობოს: სად მოხდა ეს ამბავი და როდის; თუ შესაძლოა, დაგვისახელოს ზოგიერთი მაინც, ვინც ამ ჩხუბს დასწრებია და გარდა ამისა ყოველივე ცნობა ამ საქმის შესახები უფრო დაწვრილებით და გამოუკლებლად გვაცნობოს. იმედი გვაქვს ამ ჩვენს თხოვნას აასრულებს პატივ-ცემული ავტორი ხსენებულის წერილისა.**

---

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბ-ნი სტრუვე 4, 11, 18 და 24 მარტს წაიკითხავს უფასურად საჯარო ლექციებს ფილოქსერის შესახებ შემდეგის პროგრამით:

პირველი ლექცია

შესავალი. ფილოქსერის აღმოჩენა. ცნობანი ფილოქსერის ბიოლოგიიდამ, როგორ იმოქმედა ფილოქსერამ ამერიკისა და ევროპის გაზეთებზედ.

მეორე ლექცია

ფილოქსერასთან ბრძოლის საზოგადო ისტორია. კონგრესები, საერთა-შორისო კონფერენციები, წამლობა, უებარი წამალი, ამერიკის ვაზების კულტურა, ბრძოლის გამნელება ყალბის Oidium-ის სოკოს გამოჩენისა და გავრცელების გამო.

მესამე ლექცია

ღვინის კეთებისა და ვაჭრობის დაცემა საფრანგეთში და მათი აღორძინება ევროპის სხვა სახელმწიფოებში ფილოქსერის გავრცელების მიზეზათა.

მეოთხე ლექცია

ღვინის კეთება, ღვინის ვაჭრობა და ბრძოლა ფილოქსერასთან რუსეთში. დასკვნა. (2—1)

---

ტფილისი, 3 მარტი*)

ორი ჯურაა ღვინის მუშტრისა და თვითეული მათგანი ღვინისაგან იმასა ჰთხოულობს, რაც საკუთრად მისთვის სარფაა და სახეირო. ამ სხვა-და-სხვაობას მუშტრისას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ-რომ ამ სხვა-და-სხვაობის მიხედვით სისტემაც ღვინის კეთებისა ორ ნაირია. ერთ გვარი მუშტარი ღვინისა ღვინის პირდაპირი მხმარებელია, ესე იგი, კაცი, რომელიცჰყიდულობს ღვინოს იმისათვის, რომ თვითონ სვას, თვითონ გამოიყენოს და მოიხმაროს; მეორე ღვინის ვაჭარია, ესე იგი, კაცი, რომელიც ჰყიდულობს ღვინოს მარტო იმისათვის, რომ ჰყიდოს. პირველს ღვინის სახელით იმისთანა სასმელი უნდა, რომ არამც-და-არამც მაწყინარი არ იყოს და ამისთანა სასმელი, როგორც შემდეგში ვნახავთ, მარტო ბუნებური, შეურევნელი, წმინდა ყურძნის წვენის ღვინოა. მეორე კი, ესე იგი, ღვინის ვაჭარი მარტო იმას დაეძებს, რომ სასმელი ერთნაირის ფერისა, ერთნაირის გემოსი, ერთნაირად გამძლე იყოს ყოველს შემთხვევაში და იმოდენად ჰკვანდეს ღვინოსა, რომ პირ-და-პირს მხმარებელზედ გაასაღოს ხოლმე ღვინის სახელითა. ყოველივე ეს შეუძლებელია ბუნებურ ღვინისათვის, თუ წამლებით შეკეთებული და შერევნილი არ არის. ამას მერე ვნახავთ და ეხლა კი ვიტყვით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასმელის უწყინარობა უკან არის დაყენებული, როგორც იმისთანა ბარგი, ურომლისოდაც შეიძლება იოლად წასვლა მაშინ, როდესაც პირველს შემთხვევაში ამ უწყინარობას პირველი და უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ჩვენებურად ღვინის კეთებას ღვინის პირ-და-პირი მხმარებელი ჰყავს სახეში და ევროპიულად კეთებას — უფრო ღვინის ვაჭარი. ამ ორში რომელი კეთებაა ღვინისა უფრო მართალი, უფრო კარგი, უფრო სამჯობინარი და მოსაწონი თავისის აზრითა და განზრახვითა — ეგ ადვილად გამოსაცნობია.

ჩვენ ჯერ შევუდგებით იმის აღწერას თუ—იგი სისტემა, რომელსაც სახეში ჰყავს პირ-და-პირი მხმარებელი ღვინისა, რაში მდგომარეობს და როგორ უძღვება თავის დანიშნულებას. ეგ სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ კაცმა მოაშოროს ყოველივე ის, რაც თვითონ ბუნებას უშლის ყურძნის წვენის ბუნებურ ღვინოდ სრულად და სავსებით შექმნასა და იმ ყურძნის წვენშივე არსებულთა და მოქმედთა ძალთა ბუნებისასა ხელი შეუწყოს, ხელი მოუმართოს. მაგრამ მინამ საქმე ამაზედ მიდგება, ღვინის დამყენებელმა უნდა იცოდეს რა ადგილმა რა გვარი ღვინო იცის და რა გვარი ღვინოც ჰსურს, იმ გვარს შეურჩიოს სავენახე ადგილიცა. *) ბუნებური ღვინო სხვა-და-სხვა არის და ეგ სხვა-და-სხვაობა დამოკიდებულია მიწის სხვა-და-სხვაობაზედ. მძიმე ესე იგი ღრმად სახნავს თიხიანს მიწას მოჰყავს ღვინო მოჭირებულის ფერისა, ძლიერის სუნითა, გემრიელი და გამძლე. ქვიშიანს ადგილზედ ღვინო ისე მაგარი არ არის, სუნიც ნაკლები აქვს და უფრო ნაკლებად გამძლეა. კირ-რეულ მიწაში ღვინო უფრო ტკბილია და სუნით არ არის ძალიან გამოჩინებული. მშრალის ქვიანის ადგილის ღვინო ტკბილია, მაგარი, დიდხანს გამძლე და ძლიერი სუნი კი არა აქვს. ჰავასაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის. ჰუმბოლდტის სიტყვით, ორთა-შუა ტემპერატურა წლისა უნდა იყოს 9,5° რეომურისა, ამასთან ზამთრის ორთა-შუა ტემპერატურა არ უნდა იყოს 0,5°, უფრო ცივი და ზაფხულისა 18° არა ნაკლები სითბო. ყურძნის წვენის სიტკბოზედ დიდი კეთილ-მოქმედება აქვს მზიანსა და თბილს დარსა ღვინობის თთვეში. რა თქმა უნდა, რაც ჰავას, დარს, სიცხე-სიცივეს წლისას შეეხება, აქ ადამიანი ყოვლად უღონოა შველა რამ გაუწიოს ბუნებასა, მინამ ყურძენი დაუკრეფავია, მაგრამ მიწის ამორჩევა და განოყიერება, გაღონიერება კი მის ხელთ არის. ღვინის ავ-კარგიანობაზედ ზედ-მოქმედება აქვს თვითონ სასუქსაც. ძროხის პატივი ვენახის სასუქად ყველაზედ უკეთესად ცნობილია. ძალიან კარგად მოქმედებს ძვლების ფხვნილიცა, მჟავე ფოსფორ—მჟავე კირიცა (Суперфосфатъ), რომელსაც ძვლებისაგანვე აკეთებენ. და ფოსფორ-მჟავე აქვს. ჩვენში სასუქს იშვიათად სადმე ჰხმარობენ, კახეთში თითქმის სულ არ იციან, ზოგან კი, მაგალითებრ, ქართლში და სომხეთში არ ერიდებიან. ჩვენში ამ საგანზედ ერთობ ის აზრი აქვთ, რომ სასუქი ღვინოს გემოს აძლევს და ახდენსო. მართალიც არის: ზოგიერთი სასუქი რაშიაც ერთ-ნაირი ნივთიერება „ამმონიაკი" მეტის-მეტად ჭარბად ურევია ან სხვა რამ ძლიერად საგრძნობელი ყნოსისათვის, ჰვნებს ღვინოსა. რაკი ესეა, ჩვენებური კაცი, კარგის ღვინის დამყენებელი, ერიდება სასუქის შეტანას ვენახში საერთოდ, რა გვარი სასუქიც უნდა იყოს. აქაც, თუ გნებავთ, იგივ თანა-საგრძნობელი აზრი მოქმედობს, რომ კაცმა თავისით არა გაურიოს-რა, არა ჩაუმატოს-რა ღვინოსა და ეს უვიცობად არავინ არ უნდა ჩამოართვას, იმიტომ რომ თუ ჩვენებურმა კაცმა სუპერფოსფატების გაკეთება არ იცის, ძროხის პატივით გაპატივება ხომ იცის საყანეებისა და რა დაუშლიდა ამავე ღონის ხმარებას ვენახების გაპატივებისათვისაც, თუ არ ის აზრი, რომ ეგ ღვინოს ავნებსო.

რასაკვირველია, ადამიანის ხელთვე არის—თვითონ ყურძნის დაკრეფასაც დრო შეურჩიოს და ამასაც ღვინის სიკეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში და ყველგან სხვაგანაც ღვინობის თთვის ნახევრამდე დაიწყობა ხოლმე ყურძნის კრეფა,—ზოგჯერ ცოტა გვიანაც, რადგანაც, თუ კაი დარია, ყურძენი უფრო კეთდება და ამას ევროპაში ცნობულობენ სხვა-და-სხვა იარაღითა და ღონის-ძიებითა და ჩვენში კი გაჭყლეტენ მარცვალს თითებ შუა და თუ თითები წვენის გამო ერთმანეთს ეწებება და ეს დაწებება დღე-და-დღე უფრო მატულობს, ამბობენ, ყურძენს ჯერ კიდევ „წებო" ემატებაო და დაცლა, დახანება უნდაო, იმიტომ-რომ ამ წებოს მეტ-ნაკლებობაზედ დამოკიდებულია ღვინის სიკეთე. ამ ორ ღონის-ძიებათა გამო მარტო ის ითქმის, რომ ევროპიული უფრო ხერხიანია და მეორე უფრო სადა და უბრალო, ყურძნის კარგად დამწიფების და შემოსვლის საცოდნელად კი ორივე გამოსადეგია. რა თქმა უნდა, რომ ჩვენებურმა კაცმა ის ევროპიული იარაღი შემოიღოს, უკეთესი იქნება. ხოლო ეგ იმას არა ჰნიშნავს, რომ ჩვენებურად ღვინის კეთებაში დავიწყებული იყოს, ან არ ვიცოდეთ იგი წესი, იგი მოთხოვნილება, რომელიც გვეუბნება, რომ ყურძნის დაკრეფას დრო უნდა შეერჩიოსო.

ყურძნის დაკრეფის დღიდგან თავდება მოვალეობა ვენახის მკეთებელისა და იწყება საქმე და მოვალეობა ღვინის მკეთებელისა. ჩვენ ვენახის კეთებაზედ ბევრი არა ვსთქვით-რა, იმიტომ-რომ აქ ჩვენ ბევრს ვერავინ რას დაგვიწუნებს, ვისაც კი ცოდნით და წინად-აუღებელის აზრით ეს საქმე ჩვენში უსწავლია. კიდევაც გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ვენახის და ნამეტნავად ვაზის მოვლაში ჩვენებური კაცი სხვას არამც თუ ჩამოუვარდება, ზოგში სხვას ასწავლის კიდეც. ჩვენ აბუჩად აგდებულნი ვართ მარტო ღვინის კეთების საქმეში. დღეს გაზეთში უადგილობის გამო ჩვენ შევდგებით იმ მიჯნაზედ, საცა თავდება ვენახის მკეთებლობა და იწყება მკეთებლობა ღვინისა.

*) ჩვენ აქ ამაზედ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ჯერ ჩვენში—ღვთის მადლით—ღვინის მკეთებელი და ვენახისა ერთი და იგივე მოქმედია, ამიტომაც რაც ვენახის პატრონის ავ-კარგიანობას უჭირს, ის ღვინის მკეთებელსაცა და რაც ღვინის მკეთებელს, ის ვენახის პატრონსაცა.

*) წინა წერილში სხოლიოში ნაჩვენებია 1874 წელი და უნდა იყოს 1884 წ.

---

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში რკინის გზის ქარხნების მუშათა შორის მომხდარა უწესოება. მუშებისათვის გამოუცხადებიათ, რომ ყოველ-დღე თითო საათი მეტი იმუშავეთო და ანგარიშის დღესაც, რადგანაც მარტო სადილობამდე მუშაობთ, არ ჩაგითვლითო. მუშებს მაშინათვე თავი დაუნებებიათ მუშაობისათვის და რამდენიმე ასი კაცი წასულა რკინის გამგეობის სადგურისაკენ, შესულან ეზოში და გამოუცხადებიათ, რომ რკინის გზის გამგებელს უნდა მოველაპარაკოთო, მაგრამ გამგებელი იქ არა ყოფილა და არც სხვა უფროსი. რკინის გზის მოხელენი არა სჩვენებიან ხალხსა, ხოლო გამგებელის კანცელარიის საქმეთა მმართველი გამოსულა და არამც თუ ვერა გაურიგებია-რა, უფრო გაუჯავრებია მუშა ხალხი. შეუტყობინებიათ პოლიციისათვის; რკინის გზის გამგეობაში მისულა პოლიცმეისტერი, ულაპარაკნია მუშებთან და შემდეგ გამოუცხადებია მათთვის, რომ თქვენს თხოვნას გაარჩევენ და ეცდებიან შეძლების დაგვარად აასრულონო.

*** რადგანაც რუსულს ენაზედ ღვინის კეთების გამო დაწერილი წიგნები ცოტაა ძრიელ და ღვინის კეთებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის, კავკასიის სამეურნეო საზოგადოება აპირობს უცხო ენიდგან გადმოსთარგმნოს რუსულად და დაბეჭდოს ერთი უფრო ცნობილი თხზულება ამ საგნის შესახები.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ გაზ. „ცისკარის" რედაქცია აპირობს ამ მოკლე ხანში მიიწვიოს რამდენიმე მეურნეობისა და ლიტერატურის მოღვაწენი და იმათთან ერთად შეადგინოს საუკეთესო პროგრამა ამ გაზეთის გასაუკეთესებლად. დიდად მოხარულნი ვართ და სულითა და გულით ვისურვებთ ამ ჩვენის ახალის მოძმის წარმატებას.

*** 6 მარტს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ბ-ნი ტარატინოვი წაიკითხავს მოხსენებას ბამბის მოყვანაზე ამიერ-კავკასიაში. უნდა მოვაგონოთ მკითხველებს, რომ ბ-ნი ტარატინოვი მოსკოვის სამანიფაქტურო ქარხნის პატრონმა ს. მოროზოვმა გაჰგზავნა ამერიკაში ბამბის მოყვანის სასწავლებლად. ბ-ნ მოროზოვს უნდა ბამბის პლანტაციები გამართოს ჩვენში ტარატინოვის დახმარებითა.

*** კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოებაში ბ-ნი დინგელშტეტი 6 თებერვალს წაიკითხავს მოხსენებას კავკასიის გეოგრაფიულს სახელებზე.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი თხზულება ჩვენის პატივცემულის ისტორიკოსისა ბ-ნ დიმ. ბაქრაძისა. ეს თხზულება რუსულად არის დაწერილი და ეწოდება: Статьи по исторіи и древностямъ грузіи. წიგნი დაუბეჭდია სამეცნიერო აკადემიას პეტერბურგსა. სივრცით პატარაა, სულ 38 გვერდს შეიცავს და ჰღირს 20 კაპ.

*** ბ-ნს ვ. ალნიაშვილს დაუბეჭდია პატარა ლექსიკონი ჯიბისა. ამ ლექსიკონში განმარტებულია ქართულად სხვა-და-სხვა სიტყვები, რომელიც ქართულს ენაში უცხოეთიდამ შემოსულა.

*** ამ ოთხისა და ხუთის დღის წინად ქართლში დიდი უამინდობა იყო. ნამქერმა და კორიანტელმა დაარჩო ერთი ქარელელი ურია სოფელ

ქარელს ახლო. სოფლები თითქმის სულ გადასილული იყო თოვლითა. მეზობელი მეზობელთან ველარ მიდიოდა, გზები სულ შეიკრა. ტყეში წასვლა ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო. უშეშობამ ძალიან შეაწუხა ხალხი.

ამ ორს დღეში კარგი დარი გამოვიდა და გზები გავიდა აქედ-იქით. რამდენიმე ვარანგიანი ლამეც დაიჭირა, ლელმა გაუჩნდა თოვლს და ამის გამო დნობა დაიწყო. თუ ამინდმა ასე ხელი შეგვიწყო, ამ ერთს კვირაში აილებს თოვლს, მინდვრები გაშრება და გუთნები გავაო.

*** დიდ-მარხვის პირველ კვირიდამ სიონის ტაძარში სალამოს ლოცვის შემდეგ დეკანოზს მამა ესტატე ელიევს დაუწყვია საუბარი მრევლთან ზნეობასა და სარწმუნოებაზე ქართულად. მამა ელიევის გარდა საუბრობს ხოლმე მრევლთან არხიმანდრიტად ახლად ხელ-დასხმული მამა ნიკოლოზი, ბორჯომში დეკანოზად ნამყოფი სეიმონოვიო.

*** ამ თთვის ოც-და-სამს დაილუპა ფოთის ნავთ-სადგურს ახლოს ინგლისური დიდი ხომალდი, რომელიც ეკუთვნოდა ოდესელ ვაჭართ „ბროდსკი—ტვიდი და კ-ო".

აი როგორ მოხდა ეს უბედურება: 22-ს ამ თთვისას სალამოზედ მოვიდა ზემოხსენებული ხომალდი ფოთის ნავთ-სადგურს ახლოს იმ განზრახვით, რომ შიგ ნავთ-სადგურში უნდა შემოსულიყო, მაგრამ ალარ შემოუშვეს, რადგან ისეთი ღრმა ალაგი, როგორიც უნდოდა, უკვე დაეჭირათ სხვა დიდ ხომალდებს. ამისათვის კომანდირს გემისას უფიქრნია, ჩაუშვებ წყალში ღუზს და გაეჩერდები, სანამ ალაგს დამითმობდნენ სხვა გემები, რომელნიც წამსვლელნი არიანო. იმ ღამეს ამოვარდა მძლავრი ქარი, ზღვამ საშინლად დაიწყო ღელვა, ბედკრული გემი თავისის „ეკიპაჟით" მამაცურად ებრძოდა საშინელს მტერს, მაგრამ ვერას გახდა. მიეშველა ხალხი და ძლივს გადაარჩინა შიგ გემში მოსამსახურენი და უზარ-მაზარი ხომალდი კი დაილუპა მთელის მოქალაქეების თვალ-წინ. ეს მოხდა 23-ს თებერვალს დილის რვა საათზე. გემი დაზღვეული ყოფილა 180 ათას მანათად, ხოლო ტვირთი, რომელიც შესდგებოდა რკინის რელსებისაგან, 300 ათასად.

*** 16-ს თებერვალს მუშურის უღელ-ტეხილზე, რომელიც სძევს თავისუფალსა და სადადიანო სვანეთს შუა, ცხრა მგზავრი დაუღუპავს თოვლის ზვავს, სახელდობრ: მთავარ დიაკონი ცხვედიანი და მისი ძმა დიაკვნები: გვიშიანი, ჯაჭვლიანი და ფარეიშვილი; აზნაური მერაბა ყიფიანი; წვირმელი ფირცხელანი და ორი კიდევ სხვა, რომელთ ვინაობა ჯერ-ჯერობით ვერ შევიტყეო, გვწერს კორრესპონდენტი. ყველა ესენი მიდიოდნენ თურმე ქუთაისს თავიანთის საქმეების გამო.

*** ამას წინად ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ მსოფლიო პატრიარხად ამორჩეულია ადრიანოპოლის მიტროპოლიტი დიონისი. წინადვე ამბობდნენ, რომ ახალი პატრიარხი ვერაფრად ეწყობა რუსეთსაო და თუ საეკკლესიო საქმეებში რუსეთისა და საბერძნეთის ინტერესები ერთმანერთს როგორმე შეჰხვდა, დიონისი უთუოდ საბერძნეთის მხარეს დაიჭერსო. ეს მართალი აღმოჩნდა, დიონისიმ ეხლავე თავი იჩინა ათონის ქართველთა მონასტრის საქმეში. აი გაზეთი „С.-Петербургскія Вѣдомости"-ს რას სწერენ სტამბოლიდგან: დიდის ხნის დავა, რომელიც ქართველებსა და ბერძნებს შორის იყო ივერიის მონასტრის შესახებ ათონის მთაზედ, ამ ახლო ხანებში უნდა სრულიად გაეთავებინა ოსმალეთს და საქმე ქართველების სასარგებლოდ გარდაეწყვიტა, მაგრამ დიონისი დატრიალდა და იმდენს ეცადა, რომ ეს საქმე ისევ გადასდეს და ვინ იცის როდის-ღა გადაწყდება. მართალია, რუსეთის ელჩი ნელიდოვიც ძრიელა ცდილობს და ოსმალეთის მთავრობას მოსთხოვა, რომ საქმე უთუოდ უნდა ჩქარა გათავდესო, მაგრამ დიონისიმ ჯერ-ჯერობით მაინც თავისი გაიყვანა. ბერძნები განგებ აძნელებენ, ჰმლიან ამ საქმეს, რომ ხანმა გაიაროსო. მინამ საქმე ხელ-ახლად გადასწყდება, ბერძნები მოასწრობენ და სრულიად გაიტანენ ივერიის მონასტრიდამ მდიდარ ბიბლიოთეკას და სხვა ძვირფას ნივთეულობას, რომელიც საუკუნოებით არის აქ შეგროვილი.

*** „მშაკსა" სწერენ მოსკოვიდამ, რომ თებერვლის ათს პუშკინის თეატრში მოსკოვში მყოფ სომეხთ შეუძლებელ მოსწავლეთათვის სომხურად წარმოდგენა ჰქონიათო. თეატრის მოყვარეთა შორის ორი სომეხი-ქალი კარგად ასრულებდა თავის როლსაო.

*** „კავკაზი" ამბობს: 1884 წელს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა ანანოვმა მიართვა მმართებლობას თხოვნა, რომელიც უკვე შეუწყნარებიათ. ანანოვს უთხოვნია, რომ ტფილისის სომეხთ დედათ მონასტერთან ჩემ მიერ დაფუძნებულ ქალების სასწავლებელს დაერქვას: „მარიამ ანანოვის სასწავლებელიო". ამ განზრახვით შეუწირავს ამ სასწავლებლისათვის ქარვასლა (ადრინდელი ბატონის ქარვასლა), რომელიც ორმოც ათას თუმნამდე თურმე ღირს. ეს ქარვასლა შეუწირავს შემდეგის პირობით: 1) სანამ ანანოვი ცოცხალია, ქარვასლის შემოსავლიდამ შვიდასი თუმანი სასწავლებელს ეძლეოდეს, დანარჩენი შემწირველის განკარგულებაში იყოსო; 2) სიკვდილს შემდეგ ქარვასლის გამგებლობა სასწავლებლის მზრუნველობის ხელში გადავიდეს, ამ გვარის წესით: ა) მესამედი შემოსავლისა და არა ნაკლებ შვიდასის თუმნისა სასწავლებელს უნდა ეძლეოდეს. სკოლას უნდა ჰქონდეს ის მოწყობილობა და წესი, როგორც შემომწირველს აქვს განზრახული და როგორც დამტკიცებულია მთავრობისაგანაო. ბ) დანარჩენ შემოსავლით უნდა გაიმართოს სომეხ ობოლ ღარიბ ყმაწვილ ქალთათვის სახლი და მოსკოვში ორი პანსიონერი იქმნეს მუდამ ლაზარევის ინსტიტუტშიო.

## მმართებლობის განკარგულება

გაზეთ „Кавказъ"-ის ოფიციალურ განყოფილებაში ტფილისის გუბერნატორი საყოველთაოდ აცხადებს:

„28 მაისს 1886 წ. უმაღლესად დამტკიცდა აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმის თაობაზედ, რომ ამიერ-კავკასიისა და თერგისა და ყუბანის ოლქების მცხოვრებელნი მოიკრიფნენ ჯარის-კაცად და სამხედრო ბეგარა გადაიხადონო.

ამ ჟამად ყველგან, მთელს ტფილისის გუბერნიაში შედგენილია იმ ქრისტიანეთა სიები, რომელნიც ჯარის-კაცად არიან გამოსაყვანნი. ამ სიებში ჩაწერილნი უნდა იყვნენ ყველანი, ვისაც კი შეუსრულდა 20 წელი 1 იანვარს 1887 წ., ესე იგი ვინც დაბადებულა 1866 წ. სამხედრო ბეგარის წესდების 158 და 213 მუხლების ძალით, ვინც ამ წლოვანებისაა და სიაში კი არ არის ჩაწერილი და თავის დროზედ არ გამოაცხადებს კენჭის ჩამოტარების დღემდე, რომ მე სიაში არა ვარ მოხსენებულიო, იმას მაშინ ის შეღავათი არ მიეცემა, რომელიც სხვას ეძლევა და უკენჭოთ წაიყვანენ სამხედრო ბეგარის გადასახდელად თუ ჯანმთელია. თუ ჯანმთელი არ არის, სამხედრო სამსახურისათვის არ გამოდგება, დაშავებულია და არც განგებ დაუშავებია თავი, დამნაშავე დასჯილი იქმნება 507 მუხლის სასისხლო სამართალის ძალით იმ დანაშაულის გამო, რომ არ გამოცხადდა მთავრობის წინაშე სამხედრო ბეგარის გადასახდელად.

ამის გამო წინადვე ვუცხადებ ტფილისის გუბერნიის მოხარჯე და ხარჯისაგან განთავისუფლებულს მკვიდრთა, რომ ოცის წლის ახალგაზდა ყმაწვილმა კაცებმა, რომელნიც სიებში არ არიან ჩაწერილნი თავიანთის აზ და სხვა რომელიმე მიზეზების გამო, უნდა გაიგონ თავისი ნამდვილი წლოვანობა და თავის დროზე შეატყობინონ ტფილისის, ახალციხის და გორის საქალაქო გამგეობათ და სხვა ქალაქებში კიდევ—მაზრის უფროსს.

## სამეურნეო საზოგადოების კრება

(27 თებერვალს)

ჩვენ თავის დროზედ მოვახსენეთ მკითხველებს, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ხარკოვის სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენაში და ვრცლად გამოკვლევა ამ საგნისა საზოგადოებამ დაავალა თავის საბჭოსაო. საბჭოს შეუდგენია თავისი პროექტი, რომელიც ზემოხსენებულ კრებაზე წაკითხულ იქმნა.

საბჭოს დაუდგენია: 1) გაავრცელოს ჩვენის ქვეყნის მეურნეთა შორის განცხადებანი, პროგრამები და წესდებანი, რომელიც გამოგზავნილია ხარკოვის სრულიად რუსეთის გამოფენის გამგე კომიტეტისაგან; 2) სთხოვოს ჩვენის მეურნეობის წარმომადგენელთ, მიიღონ მონაწილეობა ზემოხსენებულ გამოფენაში; 3) დანიშნულ იქმნას კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან 2 ვერცხლის მენდალი, 3 ბრინჯაოსი და 5 ქების ფურცელი კავკასიელ ექსპონენტების დასაჯილდოვებლად. ეს ჯილდონი მიეცემა იმათ, ვინც წარმოადგენენ რაიმე საინტერესო ნივთს ჩვენის კავკასიის მეურნეობისათვის. 4) რადგანაც საზოგადოებას შეძლება არა აქვს ფულით დაეხმაროს გამოფენის გამგე კომიტეტს, ფულით დახმარების თაობაზე უარი შეეთვალოს ამ კომიტეტს; და 5) შესდგეს კომისია ამ საგნის უფრო ვრცლად გამოსაკვლევად და აგრეთვე ხარჯის გამოსაანგარიშებლად. ამ კომისიაში წევრებად აირჩიეს ბ-ნი მედვედევი, ხატისოვი, ვასილევი, შიმანოვსკი, შარერი და ვერმიშევი. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამაც უნდა წარადგინოს თავისი კოლლექცია, როგორც ექსპონენტმა.

ამ კოლლექციაში, რომელიც შედგენილი იქნება საზოგადოებისაგან, მოჰყვება: ღვინო, ბამბა, მატყლი, სხვა-და-სხვა მცენარეთგან გამოხდილი ზეთეულობა, ყველი, ხილეულობა, ხორბალი, ქერი, ბრინჯი, სიმინდი, ფეტვი, აბრეშუმის პარკები, ძირტკბილა (солодковый корень), ღვინის მარილი, ხილისა და ჭაჭის სპირტი, ხურმა, თამბაქო და სხვა-და-სხვა ხეების ნიმუშები. ამავე კომისიას უნდა დაევალოს, რომ რაისამე საშუალებით შეადგინოს წიგნაკი ჩვენის კავკასიის სამეურნეო მრეწველობაზე და კულტურის რუკა კავკასიისა (культурная карта). სამეურნეო საზოგადოება არ გაგზავნის სხვა ექსპონენტების საქონელს. საზოგადოების საბჭოს გადაუწყვეტია გაიგზავნოს გამოფენაში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელი. გადაუწყვეტია აგრეთვე, ვსთხოვოთ სამხედრო-საერო უწყებას, შეადგინოს საშინაო მრეწველობის ნაწარმოების კოლლექციაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

(შემდეგი*)

ახლა შევუდგეთ იმ ზემოხსენებულ მეთოდების განხილვას. „შაპტალიზაცია" და „გალლიზაცია" თვითონ გაზეთში იყო მოხსენებული, მაშ დაგვრჩა მარტო „პეტიოტიზაცია". 1859 წელს საფრანგეთში ბურგუნდიის ერთს ვენახას პატრონს, სახელად petiot-ს მოუვიდა თავში შემდეგი ბედნიერი აზრი: გამოწურულ ჭაჭას დაასხა შაქრის წყალი; რამდენისამე ხნის განმავლობაში ეს წყალი ადუღდა და მაჭრად აქცია. დაიდუღა და საამურ სასმელ ღვინოდ იქცა. სხვებმაც გაიგეს ამ „ნაღვინურის" (თუ შეიძლება ამ სიტყვის ხმარება) კეთება, გემო გაიღეს და შემოიღეს საფრანგეთში. ამ მეთოდით ნაკეთებს „ნაღვინურს" დაარქვეს მომგონის სახელი petiot-ი და თვითონ მეთოდს „პეტიოტიზაცია". ეს მეთოდა გავრცელებულია ეხლა ნამეტნავად იტალიაში, სამხრეთ ავსტრიის პროვინციებში და სამხრეთ საფრანგეთში.

ზოგიერთ იტალიის ადგილებში და სამხრეთ საფრანგეთში, სადაც ვენახებს წილში აკეთებენ, ყურძნის დაწურვის შემდეგ ვენახის პატრონები მაჭარს თვითონ იტოვებენ და ჭაჭას კი სამუშაოში მუშებს აძლევენ. ესენი აყენებენ ხოლმე ჭაჭას მატაო წყალზე; ასე დაყენებულ „ნაღვინურს" იტალიაში უძახიან vin piccolo, ანუ პატარა ღვინოს და საფრანგეთში კი piquette-ს, ანუ petit vin-ს, აგრეთვე პატარა ღვინოს.

ბევრმა გამოჩენილმა ქიმიკოსმა გასინჯა, გაჩხრიკა ეს „პატარა ღვინო", „ნაღვინური" და ნამდვილადაც შეამოწმეს, რომ ყურძნის და მეტადრე მწიფე ყურძნის ჭაჭაში, მაჭრის გამოწურვის შემდეგ, კიდევ იმდენი შაქარი და სხვა ნივთიერება არის დარჩენილი, რომ ამ ჭაჭას გამოხდილი „პატარა ღვინო", „ნაღვინური" ძალიან უახლოვდება ბუნებითს ღვინოსაო.

ამ სამ ზემოხსენებულ მეთოდებით ღვინის კეთება უფრო დიდს სარგებლობას აძლევს ვენახის პატრონს, როდესაც კარგი წელიწადი არ უდგება და ყურძენი რომელისამე მხრით ნაკლები მოსდის. ამასთანა ყურძნიდამ გამოწურული ღვინო, თუ თავის დროზე არ დაილია ან დამარდება ბოლოს, ან პირველშივე პრკეს მოიკიდებს. თუ კი შეაკეთა ამ სამის რომელიმე მეთოდით, რომელსაც უფრო გამოსადეგად დაინახავს მებაღე, მაშინ ექნება გამძლები ღვინო: ეს ღვინო არც ფერს იცვლის და არც გემოს (ამას როდესაც გამბობ, რასაკვირველია, ისიცა მაქვს სახეში, რომ ვენახის პატრონს, თვითონ ღვინის მკეთებელს სხვაფრივადაც ესმის საქმე).

ამ მხრივ ღვინის პატრონს ღონისძიება მიეცემა, მოიცადოს და თავის დროზე რიგიან ფასად გაჰყიდოს და არ იყოს იძულებული, რომ რითიმე დაშავებული ღვინო, გაუკეთებელი ან მსწრაფლად გაყიდოს და ან, თუ ესეც ვერ მოახერხა, თვითონვე მუცელში ჩაისხას. ამ მეთოდებით ნაკეთ ღვინისათვის არც ერთს სახელმწიფოში კანონი არა სჯის კაცსა.

ნუ გაიკვირვებს ჩვენი პატივცემული „ივერია", თუ მე გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩვენშიაც, კავკასიაში აიდგა ფეხი „შაპტალიზაციამაც", «გალლიზაციამაც» და „პეტიოტიზაციამაც".

შარშან ზაფხულში, როდესაც მე ჩემის სამსახურის მოვალეობით გაგზავნილი ვიყავი ვენახების დასასინჯავად, რომ ფილოქსერა ხომ არ გაჩენიათო, ყუბის მაზრაში (ბაქოს გუბერნიაში), აი რის მნახველი ვიყავი: სომხები, ღვინის პატრონები, მჟავე ღვინოს სოდას აძლევდნენ (2 углекислый потръ) (შაპტალიზაცია), რომ არ დაგვიმჟავდეს მინამ გავყიდითო; ზოგიერთს თეთრ ღვინოებს ნაკლებ წელიწადებში განჯაში განჯელები ნარბეშს (დადუღებულ ყურძნის წვენს) ურევენ (გალლიზაცია) და პეტიოტიზაციაც ხომ ქუთაისის გუბერნიაში შემოიღეს. გაჭირვება მიჩვენეო, მე გაჩვევას გიჩვენებო,—ეს მდაბიური ანდაზა საქართველოში ყველაზე ადრე იმერლებმა გამოიყენეს. მას აქედ, რაც იმერეთში ვეღარ აუვიდნენ იმ ახირებულ დიდს ბაჟს და აქციზს ჭაჭიდამ არყის გამოხდაზე, მიატოვეს ამ მხრით თავიანთ ნამუშავარის სარგებლობას ხელი და რომ ჭაჭა გადასაყრელი არ გაუხდეთ, ზედ წყალს ასხამენ და გამოჰყავთ ღვინო სახელად „სახარჯი"—იტალიანური vin piccolo, საფრანგეთის petit vin. გლეხები ამ „სახარჯს" თვითონ ხმარობენ და უფრო შეძლებულნი ინახავენ თავიანთ მუშებისათვის, რადგანაც ჩვეულება დიდი რამ არის და იშვიათი ამბავია, რომ იმერელმა მთელის წლის განმავლობაში არ გამოიზოგოს და ერთი ჭიქა ღვინო არა ჰქონდეს დასალევად.

აგრონომი ვლად. ინანაშვილი

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია" № 44.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. სურამი, 28 თებერვალს. ოთხშაბათს, ამ თთვის 25-ს საშინელი ცუდი ამინდი იყო. თოვლი მოდიოდა, ზენა-ქარიც ლონიერადა ჰქროდა—თოვლს ერთის ადგილიდგან იღებდა და მეორე ადგილს გადაჰქონდა. გაშმაგებული ზენა-ქარი აგროვებდა ერთს ადგილას თოვლს და აკეთებდა თოვლის გორებსა და ზვავებს მთებში, სოფლებში, ღობეების ახლო, სახლებსა და საბძლებთან. ერთის სიტყვით, ისეთი ძრიელი ქარი ჰქროდა ამ დღეს, რომ აქაურობას იკლებდა და ჰგლეჯდა. ყველა იმასა ლაპარაკობდა, რომ ეს წყეული ქარი და თოვლი უთუოდ რაიმე უბედურებას მოახდენს სადმეო. მართლაც არ გაუვლია ორ-სამს დღეს, რომ ერთი სამწუხარო ამბავი შევიტყე.

ოთხშაბათს სალამოს მტკვრის გაღმა ციციაანთ მამულში სოფ. ჯვართმუხაში (ლუდაში) თ. თომა ციციშვილის ხიზანი, გლეხი გარსია ნოზაძე მთიდგან წამოსულს თოვლის ზვავს სულ წაულია და გაუნადგურებია ცოლშვილითა, საქონლითა, სახლითა, ბოსლითა, ბელლითა, საბძლითა და სასიმინდეთი. ამ საწყლის სახლი შიგ მთის ძირში მდგარა. როდესაც თოვლის ზვავი აგორებულა და შუილხუილით წამოსულა, ამ დროს გარსია ნოზაძე სახლში ცეცხლა პირას მჯდარა და რაღაც უცნაური ხმა რომ შემოჰსმია, მაშინვე ამდგარა, გამოსულა გარედ და მიხედ-მოხედვა ვერ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსწრია საწყალს, რომ თოვლის ზვავი დასტაკებია და ფეხები შემოუმტვრევია. თოვლის ზვავი წინედ საბძელს სცემოდა; საბძელი მაღლა აეტაცნა, წამოეღო და სახლზე დაეჯახებინა. სახლიც მაღლა ზურგზე შეეგდო თოვლის ზვავს და ნასახლარზე დარჩენილი ნოზაძის ცოლ-შვილი: ცოლი, გასათხოვარი ქალი და სამი ვაჟიშვილი ქვეშ მოეტანა და იქვე სული გაეფთხობინებინა. ბებერი კი, დედა გარსიასი, რომელიც ამავე დროს აქ ყოფილიყო, ცოცხალი გადარჩენილა და მხოლოდ თვალი გამოსთხრია საწყალსა. საწყალი ცოლი გარსია ნოზაძისა ამ დროს თურმე ლოგინში იწვა, თავის სამს ვაჟიშვილს ულოლიავებდა და აძინებდა. სახლის შემდეგ თოვლის ზვავი ბოსელს სცემია, გაუტაცნია ესეც, როგორც საბძელი და სახლი, და აქაც ცხრა სულს საქონელში ორიოდა გადარჩენილა ცოცხალი. ამ ნაირადვე გაუტაცნია ზვავს ქირნახულით სავსე ბეღელი და სასიმინდე. დიახ, ამ წყეულმა თოვლის-ზვავმა ერთბაშად ამოუწყვიტა საწყალს გარსია ნოზაძეს ცოლშვილი, საქონელი და ხელცარიელი დასვა სახლ-კარზე.

სამადლო და კეთილი საქმე იქმნებოდა, რომ ამ გაოხრებულს გლეხს რაიმე საშუალება აღმოუჩინონ.

ს. ღონღაძე

## უცხოეთი

**რა მოხდა ბოლგარიაში.** გერმანული გაზეთი „Kolnische Zeitung"-ი დაწერილებით ასე მოგვითხრობს ბოლგარიაში არეულობის ამბავს. რუშჩუკის მეციხოვნეთა უფროსმა მაიორმა უზუნოვმა თებერვლის 21 რიცხვს ღამეს დაიჭირა ქალაქის უფროსი და რამდენიმე აფიცერი სარეგენტო მთავრობის ერთგულნი. მერე უნდოდა თოფ-იარაღი აეხსნა მეხუთე რაზმის დრუჟინისათვის, რომელმაც უარი განაცხადა არეულობას მიმხრობოდა. უზუნოვმა ესენი ვერასგზით ვერ დაიყოლია. კაპიტანმა ვულკოვმა ბრძანება გასცა, რომ იმავე ღამეს ორ დრუჟინას ქალაქის თავი ადგილები და ყაზარმები დაეჭირა. ამათ გარს შემოეხვიათ ხუთი როტა საპერებისა. დილის ექვს საათზე ასტყდა ამათ შორის ბრძოლა, გაისმა თოფის ჭექა და მთელი ქალაქი ფეხზე წამოდგა. მთავრობის ჯარებს მიემხრო ასამდე ქალაქის მცხოვრები. ქუჩებში შეეტაკნენ ერთმანეთს მოპირისპირენი და ორთავე მხარეს 70-გან 80-დე კაცი მოკვდა და დაიჭრა. მეამბოხეთა რაზმში, სხვათა შორის, მოკლულნი აღმოჩნდნენ: პორუჩიკი პაპოვი და კაშკაველჯიევი. ქუჩაში მოკლული უნახავთ აგრეთვე ორი ქვეშევრდომი გერმანიისა. შუა-დღე რომ მოახლოვდა, რუმინიის ნაპირიდგან წამოვიდა ერთი დიდი ნავი, რომელსაც ბაირაღი ჰქონდა გაშლილი იმის ნიშნად, რომ მოლაპარაკება გვინდაო. ნავიდამ ხალხი გადმოსხდა ბოლგარიის სამხედრო გემზე „გოლუბჩიკზე". შუა-დღის უკან მეამბოხეთ კიდევ სცადეს კაპიტან ვულკოვთან მოელაპარაკნათ, მაგრამ ამ დროს ქალაქის მცხოვრებნი დაეცნენ მეამბოხეთ და მედგრად შეუტიეს. ამავე დროს ჯარები გამოვიდნენ ყაზარმებიდგან და მეორის მხრით შემოუტიეს მეამბოხეთა. თუმცა მეამბოხენი ორ ცეცხლ შუა მოემწყვდნენ, მაგრამ საქმე ბოლოს მაინც იმაზე მიდგა, რომ ხმალ-და-ხმალ მიეიდნენ მართებლობის ჯარებზე. მეამბოხეთ ჩქარა უკან დაიწიეს, ბოლოს სრულიად პირი იბრუნეს; მთავრობის ჯარები დაედევნენ და ბევრი დაეტყვევეს. უზუნოვი, პოდპოლკოვნიკი ფილოვი და რამდენიმე სხვა აფიცერი ნავებში ჩასხდნენ და რუმინიის ნაპირისკენ გასწიეს, მაგრამ ნაპირამდე მისვლა ვერ მოასწრეს და „ქვიშიან კუნძულზე" შესდგნენ. ბოლგარიის ნაპირიდგან გაცხარებული თოფის სროლა ასტყდა, ტყვია წვიმასავით მოდიოდა. უზუნოვი, ფილოვი და აფიცრები თხრილებში იმალებოდნენ. ამ დროს დაიძრა გემი «გოლუბჩიკი» და გასწია კუნძულისკენ დამალულ აფიცრების დასაჭერად. ეს ყველას გაუკვირდა, რადგან არ მოელოდნენ, რომ გემის უფროსი დრაგანოვი მთავრობის ერთგული იქმნებოდა. კუნძულზე დამალულმა აფიცრებმა ნახეს, რომ თავს ველარ გადაირჩენთო და ზოგმა ისევ სიკვდილი ირჩია, ვიდრე მტერს ხელში ცოცხლად ჩაჰვარდნოდა: ორი აფიცერი წყალში გადავარდა და დაირჩო, უზუნოვი და ფილოვი კი დაჭრილები ტყვედ წამოიყვანეს. დატყვევებულებთა შორის აღმოჩნდნენ აგრეთვე მაიორი პანოვი და კაპიტანი კირჯიევი, რომლების დაჭერა და ხელში ჩაგდება სარეგენტო მთავრობას დიდი ხანია უნდოდა.

მოადგა თუ არა გემი ნაპირს და დატყვევებული აფიცრები ნაპირზე გამოიყვანეს, მაშინვე ხალხი შემოეხვია და ისე იყო გაშმაგებული, გაცეცხლებული, რომ მოღალატენი აქვე უნდოდა გაეგლიჯა. ჯარებმა ძლივს ვაი-ვაგლახით შეიკავა ხალხი, რომელსაც უნდოდა ბოლგარიის მოღალატენი იქ წაეყვანათ, სადაც დახოცილები ეყარნენ და ლუკმა-ლუკმად დაეგლიჯათ. საღამოს ექვს საათზე არეულობა სრულიად მოისპო.

ჯერ ნამდვილად არავინ იცის, რამდენი ხალხია დაჭრილი და დახოცილი. ფილოვი ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ ამის მორჩენის იმედი აღარა აქვთ. სამკურნალოში ფილოვისა და უზუნოვის გარდა, ერთი რუსეთის ქვეშევრდომი პორუჩიკი ბოიმანიც არის. გრუევიც ჰრევია არეულობაში და მძიმედ დაუჭრიათ მხარში. ფილოვს ერთი ტყვია აქვს გულში მოხვედრილი; უზუნოვს ორი ტყვია—მუცელში. იმ ორ აფიცერში, რომელნიც წყალში გადავარდნენ, ერთი მატეევი ყოფილა. ამ მატეევის ღვიძლი ძმა ერთგული მომხრეა მთავრობისა და ყველაზე სასტიკად ეს ებრძოდა მეამბოხეთაო».

**ბოლგარია.** სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას გარდაუწყვეტია, რომ კარაველოვი, ნიკიფოროვი და ოცამდე სხვა დამნაშავენი სამხედრო სასამართლოს გარდაეცნენო.

— ბოლგარიის მთავრობას ისე გახარებია აჯანყებულებზედ გამარჯვება, რომ ბრძანება გაუცია მთელი ქალაქი რუშჩუკი ბაირაღებით მორთეთ და ჩირაღდნებით გაანათეთო. ამას გარდა 400 მანათი დაურიგებია ჯარის-კაცთა და ომში მონაწილეთათვის საჩუქრადაო.

— ბოლგარიაში სხვა ახალის ჯარის მოკრებასა და შეიარაღებას შესდგომიან

— ნებოლსინი, გრუევი და ბენდერევი რუმინიიდგან გაპარულან.

— ძალიან სასტიკად ეპყრობა თურმე ბოლგარიის მთავრობა ამბოხებასა და აჯანყებაში მონაწილეთ. ხუთის სამშობლოს მოღალატე აფიცრისათვის ჯოხით იმდენი უცემიათ, რომ მოუკლავთ.

— დიდი საერო კრება შესდგება ამ მარტის ნახევარში და ბოლგარიას თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადებსო.

— ვენაში ამბავი მოსულა, რომ ყველა ცანკოვის დასის წევრნი და მომხრენი დაპატიმრებულნი არიან ამ ჟამად ბოლგარიის სარეგენტო მთავრობის მიერო. ჯერ მარტო სოფიაში 200 კაცი დაუჭერიათ.

— სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Neue Freie Presse"-ს, რომ ბევრნი შარშან 9 აგვისტოს ამბოხებაში მონაწილენი დაპატიმრა მთავრობამაო. ბოლგარიის პოლიციამ ბევრი დასტუსადა აგრეთვე ვიდინსა და ვარნაში. უკანასკნელს ამბოხებაში მონაწილეთ საჯაროდ სჯიან, ციხის ახლოს. სოფიაში ყველა დარწმუნებულია, რომ უკანასკნელის ამბოხების მოთავენი გრუევი და ბენდერევი იყვნენო.

— ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული: ოსმალეთმა თავის აგენტად ბოლგარიაში რიზა-ბეი გაგზავნა, რომ ახალი სარეგენტო მთავრობა და სამინისტრო შეადგინოს ბოლგარიაში ყველა დასის წევრთაგან, მაგრამ ბოლოს რუსეთის წარმომადგენლის თხოვნით გზიდგან უკანვე დააბრუნაო. ეხლა ოსმალეთს ისევ განუზრახავს რიზა-ბეის ბოლგარიაში გაგზავნა ინგლისის ელჩის უაიტის თხოვნით. ამ ბოლოს დროს საზოგადოდ უაიტს ძალიან კაის თვალით უცქერის თურმე სულთანი. ამავე უაიტს განუზრახავს ბუხარესტში წასვლა, რომ რუმინიაში გადახვეწილნი ბოლგარიის მეამბოხენი სამსახურიდგან დათხოვნილნი აფიცრები განდევნოს იქიდგანაო.

**გერმანია.** პარიჟის გაზ. «Temps»-ი ამბობს, რომ ბოლგარიაში ამბოხების ატეხ თავადს ბისმარკს უნდა დაჰბრალდესო. ბისმარკს ისა სურს, რომ რუსეთი როგორმე ბოლგარიის საქმეებში გაებას და სხვა საქმისათვის აღარ მოსცალდესო. ამ ბოლოს დროს, მაგალითებრ, გერმანიის კანცლერმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ ბოლგარიის საქმეში მე რუსეთს არ გადავუდობავ გზას და არაფერში არც კი გავერევიო. გერმანიისა და ავსტრო-უნგრიის წარმომადგენლნი სტამბოლში არწმუნებდნენ სტამბოლშივე მყოფ რუსეთის წარმომადგენელს ბ-ნ ნელიდოვს, რომ არც ვენასა და არც ბერლინში წინააღმდეგობას არ გამოუცხადებენ არც ერთს რუსეთის სურვილს ბოლგარიის საქმის გამოო, მაგრამ რა კი რუსეთი არ მოსტყუვდა და თავის მოლოდინის პოლიტიკას თავი არ დაანება, ბისმარკმა სილისტრიაში აჯანყება მოახდინა, რომ რუსეთი მოთმინებიდამ გამოიყვანოს და ბოლგარიის საქმეში გაებასო.

**ავღანისტანი.** ბომბეიდამ აუწყებენ საზღვარ-გარეთის გაზეთებს: „ავღანიის ემირმა ბრძანება გამოსცა, რომ რაც შეიძლება ჩქარა შეაიარაღეთ ჩემი ჯარი და თოფ-ქვეშ დააყენეთო... ყველა 10 — 18 წლის მამათ სქესის ყმაწვილებს იარაღის ხმარებას ასწავლიან თურმე ამ ჟამად ავღანისტანში; 18 წლისანი-კი ეხლავე გაჰყავთ ჯარშიო. ამასთან ემირს ისიცა სურს, რომ ახალი აჯანყება მოსპოს და დაპატიმროს როგორმე მოლა მუშკი-ალუმას შვილიო. მოლა მუშკი-ალუმას შვილს თავის-თავი ემირად გამოუცხადებია და ავღანის ნამდვილის ემირისათვის-კი მუქარის წერილი გაუგზავნია. ძალიან შესაძლებელია, რომ ინგლისელებიც ჩარეულნი ამ საქმეში.

## გასართობი

**მეფე ჰუმბერტო და მინისტრი.** იტალიის საერო განათლების მინისტრი მისულა მეფე ჰუმბერტოსთან და მიუტანია რამდენიმე ქაღალდი ხელის მოსაწერად. მეფე კაი გუნებაზე იყო თურმე, იხუმრა და ერთი ქაღალდი ხელ-მოუწერავი უკანვე გადასცა მინისტრსა. მინისტრმა ეს ვერ შენიშნა, გულ-არხეინად ჩადო ეს ქაღალდი სხვა ქაღალდებში, და მხოლოდ მაშინ მიჰხვდა, როცა მეფემ გაიცინა. მინისტრმა ხელ-მეორედ გადასინჯა ქაღალდები, იპოვნა ხელ-მოუწერელი ქაღალდი და მეორედ მიართვა მეფეს ხელის მოსაწერად. მეფემ ხელი მოაწერა. მინისტრს უნდოდა ქაღალდზე ქვიშა მოეყარა, მაგრამ ისე დაიფანტა, რომ საქვიშეს მაგიერ საწერელს წაავლო ხელი, მოაქცია პირ-ქვე, მთელი საწერელი მელანი ზედ გადაასხა ქაღალდსა და მეფეს თეთრი შარვალი შავად შეუღება. საწყალს მინისტრს საშინლად შეჰრცხვა, მაგრამ ჰუმბერტომ ისე გულიანად გაიცინა, რომ მინისტრს მალე გული ისევ დაუმშვიდდა.

**

**კიდევ ერთი ამბავი ტიურნურზედ.** ამ დღეებში ინგლისში აპირობენ დედოფლის ვიქტორიას ორმოც-და-ათის წლის დღესასწაული გადაიხადონ. ამ სადღესასწაულოდ ერთს ინგლისელს მოუგონია ერთი ტიურნური; ეს ტიურნური დაჯდება თუ არა ის, ვისაც გაკეთებული ექნება, საერო სიმღერას ინგლისელებისას დაუკრავსო. ამ ინგლისელს თავისი მოგონილი ტიურნური უკვე გაუგზავნია დედოფლისათვის ოსბორნში. მხოლოდ ერთი რამ დაჰვიწყებია ტიურნურის მომგონს: ჩვეულებად არის მიღებული, რომ საერო სიმღერის დროს ყველანი ფეხზედ იდგნენ და სასოებით ისმენდნენ; ეს ტიურნური კი ისეა გაკეთებული, რომ თუ არ დაჯექი, არ დაუკრავსო. ადგება თუ არა ადამიანი ფეხზე, მაშინვე გაჩუმდებაო.

**

**მღვდლის შურის-ძიება.** ირლანდიაში ჩვეულებაა, რომ როცა მღვდელი წირვა-ლოცვას მორჩება, ჩამოსთვლის ხოლმე ყველას, ვინც-კი ამ მღვდლის სამრევლოში დაბადებულა, დანიშნულა და ან გარდაცვლილა. ერთმა ექიმმა, სახელად ს—ნმა ძალიან გააჯავრა რაღაზედაც ეს მღვდელი და უმძრახად იყვნენ ერთმანერთთან. იმ დღის შემდეგ ეს მღვდელი რა-კი წირვა-ლოცვას გაათავებს ხოლმე და თავის მრევლთა შორის გარდაცვალებულთა სიას წაიკითხავს, ყოველთვის უმატებს:

— ყველა ამ გარდაცვალებულთ ბ-ნი ს—ნი მკურნალობდაო.

## დეპეშა

28 თებერვალი

**რუშჩუკი.** ერთი ფლოტის კაპიტანი და ორიც ერის კაცი გაასამართლეს: კაპიტანს ერთის წლით დაპატიმრება გადუწყვიტეს და უკანასკნელთ-კი სიკვდილით დასჯა; 300 ახალგაზდა ჯარის-კაცს ეპატია დანაშაული, 125 ნამსახურ ჯარის-კაცთ-კი სამ წლამდე ციხეში დამწყვდევა გარდაუწყვიტეს. ამ უკანასკნელებმა თხოვნა შეიტანეს და სასჯელის შემსუბუქება სთხოვეს მთავრობას.

**პარიჟი.** ტყუილია ის გაზეთების მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომ მე-11 სალაშქრო კორპუსი საომარ ფეხზედ იქმნება დაყენებულიო.

1 მარტი

**ასტრახანი.** ქალაქთან ვოლგაზე ყინული დაიძრა.

**პარიჟი.** პალატამ გარდასწყვიტა, რომ 6—8 ფრანკამდე სატამოჟნო ბაჟი მოუმატონ ფქვილზედ და ამას გარდა მოუმატონ ბაჟი შვრიასა და სახამებელზედაც.

**რომი.** პალატათა სხდომანი გადადებულ იქმნენ და დრო არ არის დანიშნული, როდის დაიწყობა სხდომანიო.

**რუშჩუკი.** გუშინ დილით მეციხოვნეთა დასის თანადასწრებით ჩამოართვეს უნტერ-აფიცრობა მეამბოხეთა. ფილოვი გარდაიცვალა წყლულებისაგან. იმ ორს ერის კაცთა, რომელთაც გუშინ სიკვდილით დასჯა გარდაეწყვიტა, სასჯელი შეუმსუბუქეს: სიკვდილით დასჯის მაგიერ თხუთმეტის წლით ციხე გადაუწყვიტეს.

**პარიჟი.** აქამდე ბაჟი საზღვარგარედგან შემოტანილს შვრიაზედ 1 ფრანკი 50 სანტიმი იყო; ეხლა მოუმატეს ამ ბაჟს და 3 ფრანკი გახადეს ყოველ 100 კილოგრამზედ. სახამებელზე ბაჟის რაოდენობა ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

2 მარტი

**ვენა.** „Neue Freie Presse"-ს აუწყებს დეპეშით სოფიიდგან: «ბოლგარიის დიდი საერო კრება მარტის შუა-რიცხვებში შეიკრიბებაო და ეს ამბავი ამ დღეებშივე გამოცხადდება ბოლგარიის სარეგენტო მთავრობის მიერო. კრებო ყრილობაზედ ერთხმად გადუწყვეტიათ, შეადგინონ კომიტეტი მამულის-მოყვარეთა საზოგადოების დასაარსებლადა. ამ საზოგადოებას საგნად ექმნება ბოლგარიის დამოუკიდებლობა და თავისუფლება მტკიცედ და ხელ-შეუხებლად დაიცვასო. კარაველოვი და მისნი თანამოაზრენი გაუნთავისუფლებიათ თავდებობით—4 აფიცერი და ამათ შორის პოდპოლკოვნიკი ღიუბომსკიც სამსახურიდგან დაუთხოვნიათ.

3 მარტი

**პეტერბურგი.** კვირას, შუადღის შემდეგ ორს საათზედ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ბძანდებოდნენ პეტრო-პავლოვსკის სობოროში განსვენებულის იმპერატორის პანაშვიდზედ და სამის ნახევარ საათზედ წაბრძანდნენ საცხოვრებლად გატჩინოში.

გუშინ დიდ დღესასწაულობის დღეს ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ აბძანებისას ყოველს ეკკლესიაში პარაკლისი გადახდილ იქმნა. ისაკიის სობოროში იმპერატორის გვარეულობის წევრთა თანა-დასწრებითა იყო სადღესასწაულო წირვა.

**სოფია.** ცანკოვმა მოხსენების წერილით აცნობა პორტას, რომ მარტო იმ გზით შესაძლოა აღდგენილ იქმნას წესიერება ბოლგარიაში, თუ ოსმალეთი თავის ჯარებს ჩააყენებს ბოლგარიაშიო.

**პარიჟი** პალატამ დაადგინა, რომ პურის საპანეებზედ, რომელნიც საფრანგეთის ნავთ-სადგურებში შემოვლენ, ახალის კანონის გამოცხადების შემდეგ ახლად დაწესებული ბაჟი უნდა გადიხადონო.

**პეტერბურგი.** უმთავრესი მოგებანი 2-ე შინაგანის სესხის დღევან

დღლის ტირაჟისა შემდეგს ბილეთებს შეჰხვდა:

| № № სერიისა | ბილეთისა | მოგება |
|---|---|---|
| 16,690 | 4 | 200,000 |
| 9,499 | 46 | 75,000 |
| 97 | 4 | 40,000 |
| 14,908 | 23 | 25,000 |
| 28 | 43 | 10,000 |
| 7,987 | 32 | |
| 13,981 | 37 | |
| 874 | 8 | 8,000 |
| 17,343 | 30 | |
| 208 | 23 | |
| 17,582 | 48 | |
| 10,405 | 41 | |
| 16,585 | 34 | 5,000 |
| 18,618 | 7 | |
| 7,829 | 36 | |
| 2,598 | 44 | |
| 16,076 | 14 | |
| 14,143 | 34 | |
| 5,149 | 34 | |
| 9,821 | 42 | |
| 6,403 | 49 | 1,000 |
| 7,569 | 25 | |
| 18,345 | 28 | |
| 4,632 | 37 | |
| 3,501 | 5 | |
| 7,012 | 43 | |
| 9,911 | 27 | |
| 1,438 | 41 | |
| 11,804 | 8 | |
| 12,921 | 43 | |
| 1,955 | 46 | |
| 16,063 | 50 | |
| 7,170 | 10 | |
| 11,879 | 39 | |
| 8,093 | 11 | |
| 4,791 | 20 | |
| 11,970 | 1 | |
| 5,502 | 32 | |
| 1,093 | 32 | |
| 16,730 | 38 | |

### პეტერბურგის ბირჟა, 27-ს თებერვალს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა მან. კ. | გამყიდველისა მან. კ. | გაყიდულისა მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 25 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 179½ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — › | 244½ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 238 |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | 97 | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | —› | 97 | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. | 85 | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

### მარტი 31 დღით არის

4 დღე ოთხშაბათი. ღირსისა გერასიმესი. კათოლ. ნიმფასი და ლუციასი. სომეხ. მე-17 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ჯევად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 6—9. მთვარე 22 დღისაა.

5 დღე ხუთშაბათი. წმ. კონონ მოწ. და ონისიმესი; ქალწ.-მოწ. იროიდასი. კათოლ. ფრედერიკისა და თეოფილესი ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—8, ჩადის 6—10.

### კერძო განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამსესხებელი კასსა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს კასსა ამ 1887 წლის 3 მარტიდგან დაიწყებს მოქმედებასა.

1) სესხი კასსის-მიერ გაიცემა არა ნაკლებ ორის მანათისა და არა უმეტესს ოცის თუმნისა.

2) კასსა გასესხებულს ფულზედ 12% აიღებს წლიურს სარგებელს და გარდა ამისა დაგირავებულ ნივთების შესანახი კიდევ ცალკე გამოერთმევათ ფულის მსესხებელთ: 1—3 თთვემდე ¼%, 3—6 თთვემდე 1%, 6—თთვემდე 3% და 9—12 თთვემდე 4%.

3) ფულის სარგებელი და აგრეთვე ნივთების შესანახი ფულის მსესხებელთ გამოერთმევათ ბოლოს, ე. ი. მაშინ, როცა თავის ნივთს დაიხსნიან, ან სხვაგან გადააგირავებენ და ან საჯაროდ გასყიდვის დროს.

4) კასსა ფულს გაასესხებს ოქროსა, ვერცხლსა, ძვირფასს თვლებზედ და სხ. დასაგირავებელი ნივთები რიგიანად უნდათ შეახვიონ პატრონებმა და ყუთში ჩაალაგონ და ისე წარმოადგინონ დასაგირავებლად.

კასსა ღიაა ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე; გირაოს მიღება შეიძლება დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

ქალაქის გამსესხებელი კასსა იმყოფება ქალაქის სახლში, ერევნის მოედანზე. შესავალი კასსას საერთო აქვს საქალაქო გამგეობასთან. (3—2)

## ბ ა ლ ა ნ ს ი.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, 1 იანვრისათვის 1887 წლისა

ა ქ ტ ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში . . . . | 26,786 | 31 | | |
| გირაოს ფურცლები. . . . | 67,400 | — | 94,186 | 31 |
| 2) მიმოძღინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო და კერძო ბანკებში. | 57,161 | 28 | | |
| ბ) კორესპონდენტებთან . . . | 132,934 | 13 | 190,095 | 41 |
| 3) მიბარებულობა: | | | | |
| ა) საწევრო ფული ტფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში . . . . . . . | — | — | 60 | 57 |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 203,300 . . . | 192,873 | 66 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 65,900 . . . . . . | 63,714 | 25 | | |
| % იმათი . . . . . . . . | 1,447 | 50 | 258,035 | 41 |
| 5) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1884 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 54½ წლით. | 430,500 | — | | |
| ბ) მამულის გირაოზე 43½ წ. . | 339,600 | — | | |
| გ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოდ 27½ წლით. . . . | 427,100 | — | | |
| დ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოდ 18 წლით და 7 თთვით . | 4,800 | — | 1,201,000 | — |
| 6) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 43½ წლით. | 1,334,400 | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობაზე 27½ წლით . . . | 3,023,600 | — | 4,358,000 | — |
| 7) სესხნი, რომელნიც გასაცემად არიან დანიშნულნი: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 43½ წლით. | — | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე 27½ წ. | — | — | 100 | — |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა): | | | | |
| ა) დიდ-ვადიან სესხზე . . . . | 214,328 | 60 | | |
| ბ) მცირე-ვადიან სესხზე . . . | 1,707 | 80 | 216,036 | 40 |
| 9) ვადა-გასული შემოსატანი ფული . | — | — | 27,853 | 39 |
| 10) მცირე-ვადიანი სესხნი. . . . . | — | — | 134,582 | — |
| 11) გირაოს ფურცლები, საკომისიოდ მიღებულნი . . . . . . . | — | — | — | — |
| 12) დასაბრუნებელი ხარჯი . . . . | — | — | 83,212 | 54 |
| 13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადახდილნი . . . . . . . . | — | — | — | — |
| 14) ხარჯი: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის . . . | — | — | 3,683 | 44 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | 6,567,745 | 47 |

პ ა ს ს ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის . . | 182,747 | — | | |
| ბ) მცირე-ვადიანის სესხისათვის . . | 138,210 | 53 | 320,957 | 53 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით . . . . . . . . . | 23,163 | 57 | | |
| ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა . . . . . | 28,252 | 01 | 51,415 | 58 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის . | | | | |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია . | — | — | 131 | — |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა . . . | — | — | 2,453 | 04 |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით: | | | | |
| 54½ წლით . . . . . | 430,400 | — | | |
| 43½ › . . . . . . | 339,600 | — | | |
| 27½ › . . . . . . | 427,100 | — | | |
| 18 წ. და 7 თთვით . . | 4,800 | — | 1,201,900 | — |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| 43½ წლით . . . . . | 1,323,300 | — | | |
| 27½ › . . . . . . | 3,012,450 | — | 4,335,750 | — |
| 8) გირაოს ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არა ვალდებულის თავნის გადახდისათვის . . . | — | — | 22,250 | — |
| 9) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი: | | | | |
| 43½ წლით . . . . . | — | — | | |
| 27½ › . . . . . . | — | — | 100 | — |
| 10) გირაოს ფურცლები, მობარებულნი. | — | — | 20,000 | — |
| 11) მოსასპობლად დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით . . . . | 25,300 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით . . . . . . | 1,054 | 26 | 26,354 | 26 |
| 12) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად . . . . . . . | — | — | 85,200 | — |
| 13) გირაოს ფურცლების გადასახადი კუპონები . . . . . . . . . | — | — | 176,989 | 40 |
| 14) სარგებლის ფონდი. . . . . . . | — | — | 166,129 | 59 |
| 15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი: | | | | |
| 54½ წლით. . . . . | 1,039 | 37 | | |
| 43½ › . . . . . . | 1,472 | 25 | | |
| 27½ › . . . . . . | 7,119 | 39 | | |
| 18 წ. და 7 თთვით . . | 229 | 26 | 9,860 | 27 |
| 16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| 43½ წლით . . . . . | 4,048 | 64 | | |
| 27½ › . . . . . . . | 31,471 | 62 | 35,520 | 26 |
| 17) თავნის გასასტუმრებელი ფული არა სავალდებულო გადასახდელად იმ გირაოს ფურცლებისა, რომელნიც საურთიერთ შორის თავდებობის პირობით არიან გამოცემულნი. | — | — | 42 | 22 |
| 18) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულისა. . . . . | 37,017 | 82 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით . . . | 22,100 | — | 59,117 | 82 |
| 19) კორრესპონდენტები . . . . . . | — | — | — | — |
| 20) მსესხებელნი . . . . . . . . | — | — | 414 | 88 |
| 21) ნაღდი მოგება იყო . . . . . . | 54,803 | 83 | | |
| გამოირიცხება 3% გადასახადისა. . | 1,600,044 | 12 | 53,159 | 71 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | 6,567,745 | 47 |

თავ-მჯდომარე ბანკის მმართველობისა თ. ი. გ. ჭავჭავაძე

მმართველობის წევრნი: თ. ა. ჩ. ჩოლოყაშვილი; თ. ი. გ. მაჩაბელი

ბუხჰალტერი ქ. ხაჩატურიანი